

## საქართველოს პარლამენტის განცხადება აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ

27 სექტემბერს შესრულდა 8 წელი სოხუმის დაცემიდან, აფხაზეთის ტრაგედიიდან.

გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეულმა ომმა დროებით მოწყვიტა ქვეყანას მისი განუყოფელი ნაწილი; დაანგრია და გააჩანაგა საქატრტველოს ეს ულამაზესი მხარე; ორად გახლიჩა აფხაზეთის მოსახლეობა – მოძმე ხალხები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში გვერდიგვერდ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და საერთო ძალისხმევით უზრუნველყოფდნენ ამ კუთხის აყვავებას.

დაიღუპა და დასახიჩრდა ათეულათასობით ადამიანი, დევნილად იქცა მოსახლეობის ორი მესამედის – ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, ბერძნები, უკრაინელები, ესტონელები. განადგურდა ეკონომიკა, ტრადიციული ყოფა. დარჩენილი და დაბრუნებული მოსახლეობა სიდატაკეში ცხოვრობს, მძლავრობს კრიმინალური განუკითხაობა, კვლავ იღუპებიან ქართველები, აფხაზები, სხვა ერის შვილები.

მეტად მძიმეა საქართველოში და უცხოეთის ქვეყნებში მიმოფანტული ასეულათასობით დევნილი და ლტოლვილი ადამიანის ხვედრი, რომლებიც შეურიგდნენ აფხაზეთის დაკარგვას, მშობლიური ადგილებიდან გაძევებას, შეურაცხოვას და დამცირებას.

სამწუხაროდ, ქვეყნის ხელისუფლების თუ მსოფლიო გაერთიანებას ძალისხმევა აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის დღემდე სასურველ შედეგს არ იძლევა, ვინაიდან ვერ მოხერხდა დიალოგის დაწყება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის, სახელისუფლო უფლებამოსილებათა გამიჯვნის, საერთო სახელმწიფოში ახლებური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. დევნილთა დაბრუნება, აფხაზეთში მშვიდობისა და ტრადიციულ ურთიერთობათა აღდგენა კი აფხაზეთათვის თვითმყოფადი განვითარების საწინდარი იქნებოდა.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, ძალადობის, ტერორიზმის, აგრესიული სეპარატიზმის წინააღმდეგ არნახული საერთაშორისო კონსოლიდაცია, ახალი რეალობა მკაფიოდ ორიენტირი გახდება მათთვის, ვინც ცდილობს ხელყოს მსოფლიო წესრიგი და მზად არის საკუთარ ამბიციებს ანაცვალოს მრავალი მშვიდობიანი მოქალაქის ბედი.

საქართველოს პარლამენტი სოხუმის დაცემის მე-8 წლისტავზე კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარებისადმი, ამასთან, აცხადებს, რომ სამშვიდობო პროცესის შემდგომი გაჭიანურების შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლება იძულებული იქნება გამოიყენოს სხვა შესაძლებლობაც პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, გაეროს, ეუთოს, საქართველოს საკითხში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნებში

ჯგუფს, შუამავალს \_ რუსეთის ფედერაციას, გადადგან უფრო მტკიცედ ნაბიჯები და მიირონ გადამჭრელი ზომები აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად.  
თბილისი, 2001 წლის 27 სექტემბერი

(საქართველოს პარლამენტის არქივი)